ცხოვრებით კმაყოფილება და ღირებულებები: მათი ურთიერთკავშირი და შედარება გუნდური და ინდივიდუალური სპორტის წარმომადგენლებში

ეკატერინე ხარაიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერება და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა მაყაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ეკატერინე ხარაიშვილი

02.06.2023

აბსტრაქტი

გუნდური და ინდივიდუალური სპორტის წარმომადგენლებში ღირებულებების სხვადასხვა განზომილებასა და ცხოვრებით კმაყოფილებას შორის განსხვავებებსა და კავშირთა შესახებ ჩატარებული კვლევების შედეგები საკმაოდ მრავალფეროვანია. კერძოდ, რიგ კვლევებში იკვეთება სხვაობა ცხოვრებით კმაყოფილების დონეებში გუნდური და ინდივიდუალური სპორტის წარმომადგენლებს შორის. ამასთანავე, გარკვეული კვლევები ცხადყოფს გუნდური და ინდივიდუალური სპორტის წარმომადგენლებში ღირებულებათა განსხვავებებსა და კავშირებს. მოცემული ნარომის მიზანი იყო, კვაზი-ექსპერიმენტული და კორელაციური დიზაინის გამოყენებით, საქართველოს სპორსტმენ შერჩევასთან *(N* = 164) დამედგინა განსხვავებები და კავშირები ცხოვრებით კმაყოფილებასა და ღირებულებებს შორის. ჰიპოთეზებთან თანხვედრაში, კვლევამ გამოავლინა განსხვავება გუნდური (*N*= 82) და ინდივიდუალური (*N*= 82) სპორტის წარმომადგენლებში ცხოვრებით კმაყოფილებისა და ისეთი ღირებულებების მიხედვით, როგორიცაა ინტერპერსონალური კონფორმულობა, ავტონომიური აზროვნება და ავტონომიური მოქმედება. გარდა ამისა, აღნიშნულ ცვლადებს შორის დადგინდა კორელაციური კავშირებიც. მოცემული შედეგი, საკითხზე არსებულ ზოგიერთ თეორიულ და ემპირიულ ნაშრომთან ერთად, ცხადყოფს, რომ ცხოვრებით კმაყოფილების განცდა და ინტერპერსონალური კონფორმულობა უფრო მეტად ახასიათებთ გუნდური სპორტის წარმომადგენლებს, ხოლო, ავტონომიური აზროვნება და ავტონომიური მოქმედება ინდივიდუალური სპორტის წარმომადეგნეებისთვის არის უფრო დამახასითებელი.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ცხოვრებით კმაყოფილება, ღირებულებები, ავტონომიური მოქმედება, ავტონომიური აზროვნება, ინტერპერსონალური კონფორმულობა, გუნდური და ინდივიდუალური სპორტის წარმომადგენლები.

Abstract

Research findings on the differences and relationships between various value dimensions and life satisfaction among team and individual sports representatives are quite diverse. In particular, a number of studies suggest the difference between the levels of life satisfaction among team and individual sports members. Additionally, some studies reveal the differences and relationships between values of team and individual sports representatives. Using quasi-experimental and correlational designs, the goal of the current study was to determine the differences and relationships between life satisfaction and values with a sample of Georgian athletes (N= 164). Consistent with the hypotheses, the study revealed differences in the team (N= 82) and individual (N= 82) sports representatives in terms of life satisfaction and values, such as interpersonal conformity, self-direction-action, and self-direction-thought. Additionally, correlations were established between the variables in question. These findings, along with some theoretical and empirical works on the topic, reveal that life satisfaction and interpersonal conformity are more characteristic of team sports representatives, while individual sports representatives are characterized more by self-direction-action and self-direction-thought.

Keywords: Life satisfaction, values, self-direction-action, self-direction-thought, interpersonal conformity, team and individual sports representatives.